

2019 წლის აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
საკონკურსო განაცხადების შერჩევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
10 000\$-დან 200 000\$-მდე ღირებულების პროექტებზე

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში აცხადებს საპროექტო განაცხადების მიღებას აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის (AFCP) 2019 წლის კონკურსში.

AFCP პროგრამის მეშვეობით სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტებს სამი მიმართულებით:

- ა) კულტურული ძეგლები** - როგორცაა, ისტორიული შენობები, არქეოლოგიური ობიექტები და არამხოლოდ;
- ბ) კულტურული ღირებულების მქონე ნივთები და კოლექციები** - მუზეუმიდან, ისტორიულ-კულტურული ადგილებიდან ან მსგავსი დაწესებულებებიდან- მაგალითად: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები (ობიექტები), ნახაგები, სკულპტურები, ხელნაწერები, და ზოგადი სამუზეუმო ექსპონატების კონსერვაციის საჭიროება;
- გ) გრადიციული გამომხატველობითი კულტურის ფორმები** - როგორცაა გრადიციული მუსიკა, ადგილობრივი ენები, ოსტაგობა/ხელოსნობის სახეობები.

საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადა: პროექტის განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 30 ნოემბერი, 18:00 საათი. 18:00 საათის შემდგომ წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება. განაცხადები მიიღება ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: TbilisiCultural@state.gov

დაფინანსების ზოგადი პრიორიტეტები: AFCP რეკომენდაციას გაუწევს იმ წინადადებების დაფინანსებას, რომლებიც შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გაილაინებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. პროექტით გათვალისწინებული აქტივობები შეიძლება იყოს:

- ა) კულტურული ძეგლები:** უძველესი ან ისტორიული შენობის შენარჩუნება/დაცვა, არქეოლოგიური ობიექტის შენარჩუნება/დაცვა, რეგიონში კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების აღწერა/ლოკუმენტირება და დაცვის მიზნით.
- ბ) კულტურული ღირებულების მქონე ნივთები და კოლექციები:** ნივთის ან კოლექციის დამუშავება კონსერვაციის მიზნით; კოლექციის საჭიროებების განსაზღვრა მისი მდგომარეობიდან გამომდინარე და სტრატეგიის შემუშავება მისი მდგომარეობის შენარჩუნების ან გაუმჯობესებისათვის; კოლექციის აღრიცხვა მისი დაცვისა და შენარჩუნების მიზნით;

კოლექციის შენახვისა და გამოფენისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; სპეციალიზირებული ტრენინგი კოლექციის მოვლა-დაცვის საკითხებში.

გ) **ტრადიციული გამომხატველობითი კულტურის ფორმები:** ტრადიციული მუსიკისა და ცეკვების დოკუმენტაცია და აუდიოვიზუალური ჩაწერა ფართო გავრცელებისა და სასწავლო, აგრეთვე მისი სამომავლო შენარჩუნების მიზნებისათვის, ასევე ტრენინგი გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ტრადიციული გამოყენებითი ხელოვნების და ოსტატობა/ხელოსნობის სახეობების შენარჩუნების საკითხებში.

დაფინანსების პრიორიტეტები AFCP 2019 წლის კონკურსისათვის: დამატებითი ყურადღება დაეთმობა იმ წინადადებებს, რომლებიც აკმაყოფილებს ერთ ან მეტ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს:

- ა) იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში შესული ობიექტების შენარჩუნება/დაცვის მხარდაჭერა;
- ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნებისათვის კატასტროფების რისკის შემცირების მხარდაჭერა, და კატასტროფის შედეგად დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა სეისმოლოგიურად აქტიურ და კატასტროფების რისკის მქონე ადგილებში;

კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე აპლიკანტები: სანდო და ანგარიშგასაწვეი არა-კომერციული სამართალსუბიექტები, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, მუზეუმები, კულტურის სამინისტრო, ან მსგავსი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ აქეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტების მართვის სათანადო გამოცდილება და უნარი.

დაუშვებელი აქტივობები და ხარჯები: AFCP არ დააფინანსებს იმ აქტივობებსა და ხარჯებს, რომელიც მოცემულია ქვემოთ, აგრეთვე არაშესაფერისად ჩაითვლება ის განაცხადი რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერ ქვემოთმოყვანილ აქტივობას ან ხარჯს.

1. კერძო ან კომერციულ საკუთრებაში არსებული კულტურული ობიექტის, კოლექციის, ან უძრავი ქონების დაცვითი ღონისძიება ან შესყიდვა, მათ შორის იმ ობიექტებისა რომელთა კერძო ან კომერციული საკუთრებიდან საჯარო საკუთრებაში გადაცემა იგეგმება, ან მიმდინარეობს გადაცემის პროცესი, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის დასრულებული განაცხადის შეგანის დროისათვის;
2. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ფიზიკური, ბიოლოგიური ან გეოლოგიური წარმონაქმნების, პალეონტოლოგიური კოლექციების, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა ან მცენარეთა სახეობების, წიაღისეულის და ა.შ.) დაცვა;
3. ჰომინიდის ან ადამიანის ნაწილების პრეზერვაცია;
4. ახალი ამბების მედიის (გაზეთები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები და ა.შ.) დაცვითი ღონისძიებანი;
5. ხელმისაწვდომი გამოქვეყნებული მასალების (წიგნები, პერიოდული გამოცემები) დაცვითი ღონისძიებანი;
6. საკლასო სასწავლო პროგრამის ან საგანმანათლებლო მასალის შემუშავება/განვითარება;
7. არქეოლოგიური გათხრები ან საძიებო კვლევები სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის;

8. ისტორიული კვლევები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევა დასაბუთებულია, როგორც შეთავაზებული პროექტის განუყოფელი ნაწილი;
9. ახალი ექსპონატების, ნივთების ან კოლექციების შექმნა ან შექმნა ახალი ან არსებული მუზეუმებისათვის;
10. ახალი შენობის, დამატებითი ნაგებობის ან მუდმივი საფარველის (მაგ: არქეოლოგიურ ობიექტების გადახურვა) აგება;
11. ხელოვნების ან არქიტექტორული ნიმუშების ასლების შექმნა მემორიალური, ან ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის;
12. ტრადიციული ცეკვების, სიმღერების, საგალობლების, მუსიკალური კომპოზიციების, დადგმების ან სხვა წარმოდგენების ახალი ან ადაპტირებული ვერსიების შექმნა;
13. გამჭრალი კულტურული ობიექტების ან ადგილების მოდელის ან მსგავსი რეკონსტრუქციების შექმნა;
14. კულტურული ძეგლის ფიზიკურად ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა;
15. კულტურული ძეგლის ობიექტების ან მისი შემადგენელი ელემენტების გატანა ქვეყნიდან ნებისმიერი მიზნით;
16. კულტურული ღირებულების მქონე ნივთების/ობიექტების ან კოლექციების დიგიგალიზაცია, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს აქტივობა არის მკაფიოდ განსაზღვრული კონსერვაციისა ან აღწერა/დოკუმენტაციისა კენ მიმართული ძალისხმევის ნაწილი;
17. კონსერვაციის გეგმის ან სხვა კვლევები გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის დიდი პროექტის ნაწილია, რომელიც გულისხმობს კვლევის შედეგების განხორციელებას.
18. სარემონტო თანხები, ფულადი შეწირულობა, ან განახლებადი ფონდები (თანხები უნდა გაიხარჯოს 5 საგრანტო პერიოდში /5 წლამდე პერიოდში/ და არ შეიძლება მათი გამოყენება საქველმოქმედო ან განახლებადი ფონდების შესაქმნელად);
19. თანხების მოზიდვის ხარჯები;
20. სათადარიგო, გაუთვალისწინებელი ან უცნობი ხარჯები;
21. იმ სამუშაოს ხარჯები, რომელიც შესრულდა საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, გარდა 2 CFR 200.458-ით ნებადართული ხარჯებისა, რომელიც ასევე დამტკიცებულია საგრანტო ოფიცრის მიერ;
22. საზღვარგარეთ მგზავრობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მგზავრობა დასაბუთებულია და არის შეთავაზებული პროექტის განუყოფელი ნაწილი;
23. მოგზაურობა ან სწავლა პროფესიული განვითარებისათვის მასპინძელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
24. ინდივიდუალური პროექტები, რომელთა ღირებულება 10 000 დოლარზე ნაკლებია;
25. დამოუკიდებელი ამერიკული პროექტები საზღვარგარეთ.

არაშესაფერისი აპლიკანტები: AFCP არ გასცემს გრანტებს კერძო პირებზე, კომერციულ ორგანიზაციებზე, ან ორგანიზაციებზე, რომლებმაც ვერ შეასრულეს აქამდე მიღებული გრანტების მიზნები ან საანგარიშო მოთხოვნები.

დანს ნომერი და სემში რეგისტრაცია: აპლიკაციის შევსებამდე, აპლიკანტი რომელიც ითხოვს \$25000 ან მეტს ვალდებულია მოიპიფოს დანს ნომერი, ნაგოს კომერციული და სამთავრობო უწყების კოდი და დარეგისტრირდეს სემში. **გთვით მიაქციოთ ყურადღება, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია და შესაძლებელია ამ პროცესს კვირები/თვეები დასჭირდეს, განსაკუთრებით ეხება აშშ-ის გარეთ**

დარეგისტრირებულ ორგანიზაციების. დანს ნომრის მოპოვება უფასოდ შესაძლებელია შემდეგ ნომერზე ღარეკვით 1-866-705-5711, ასევე ელექტრონული განაცხადის შევსებით <http://fedgov.dnb.com/webform>. აშშ-ის გარეთ ღარსებულმა აპლიკანტებმა ნაგოს კომერციული და სამთავრობო უწყების კოდი შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე <https://eportal.nspa.nato.int/AC135Public/scage/CageList.aspx>. სემი აშშ-ის მთავრობის უფასო, ელექტრონული სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაა. იგი აგროვებს, ამტკიცებს, ინახავს და ავრცელებს მონაცემებს ფედერალური სააგენტოს შენაძენის და გრანტის მინიჭების მისიის მხარდასაჭერად.

2019 წლის აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის შეახებ საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართება პარასკევს, 16 ნოემბერს, 14:00 საათზე, თბილისიში აშშ-ის საელჩოში.

გთხოვთ, ორშაბათს, 12 ნოემბრის ჩათვლით დაგვიკავშირდით, რათა ჩაეწეროთ შეხვედრაზე 032 227 76 24; TbilisiCultural@state.gov;